

# ჩატის ენობრივი და კომუნიკაციური ასპექტები

თეონა ნიჟარაძე  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
nisharadseteona@yahoo.com

**ანოტაცია:** სტატიაში განხილულია ჩატის ენობრივი და კომუნიკაციური ასპექტები გერმანულ ენაში და დადგენილია მათი თავისებურებები. ჩატის ენისთვის დამახასიათებელია აზრის კომპრესირებული სახით გამოხატვა. სიტყვების წერა მაქსიმალურად უახლოვდება წარმოთქმას. ყურადღება არ ექცევა მართლწერისა და გრამატიკის წესებს. გამოიყენება ელიფსური წინადადებები, სასაუბრო ნაწილაკები, აბრევიატურები, ზმნის არაუღლებადი ფორმები და ემოტიკონები.

**საკვანძო სიტყვები:** ჩატი, საკომუნიკაციო საშუალება, ელიფსური წინადადება, აბრევიატურა, ონომატოპოეტური ლექსიკა, სასაუბრო სტილი, ემოტიკონი.

## I. შესავალი

სტატიის მიზანია ჩატის ენობრივი და კომუნიკაციური ასპექტების განხილვა გერმანულ ენაში და მათი თავისებურებების დადგენა. თავდაპირველად განხილული იქნება ენათმეცნიერთა მოსაზრებები ჩატთან დაკავშირებით, შემდგომში განმარტებული იქნება რამოდენიმე ლინგვისტური ტერმინი და ბოლოს მაგალითების საფუძველზე გააანალიზებული იქნება ჩატის ენობრივ-

კომუნიკაციური მახასიათებლები გერმანულ ენაში.

## II. ჩატის ენობრივი მახასიათებლები

ჩვენს ე.წ. „ინფორმაციის საუკუნეში“ ინტერნეტი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. მისი მეშვეობით შესაძლებელია არა მხოლოდ უზღვავი მასალის მოპოვება, არამედ ინტერნეტი წარმოადგენს კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებას. კომუნიკაციის მიზნით ინტერნეტს უმეტესად ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები იყენებენ, ვინაიდან ინტერნეტის მეშვეობით წერილობითი კომუნიკაციის ფორმა გრძნობების უფრო თამამად გამოხატვის საშუალებაა. ინტერნეტის გამოყენებით შესაძლებელია შეტყობინების გაგზავნა ელვისებური სისწრაფით, მიუხედავად იმისა, თუ სად იმყოფებიან კომუნიკაციის მონაწილენი.

ჩატი (ინგლ. to chat - ჭორაობა, ლაყბობა) ვირტუალურ სივრცეში აღნიშნავს ელექტრონულ, წერილობით კომუნიკაციას. ის განვითარდა ინტერნეტის შექმნასთან ერთად და დღესდღეობით მას თანამედროვე საზოგადოება ყველაზე ხშირად იყენებს. ის ასინქრონულია, ვინაიდან შექმნილი ტექსტი მხოლოდ იმ შემთხვევაში

გამოჩნდება ადრესატის მონიტორზე, თუკი ადრესანტი Enter კლავიშის დახმარებით გასცემს ბრძანებას. ჩატის კომუნიკანტები შეიძლება იყვნენ როგორც ნაცნობი ასევე უცნობი ადამიანები და შერქმეული სახელის წყალობით კომუნიკაცია განხორციელდეს ანონიმურად. არსებობს ასევე აუდიო და ვიდეოჩატი, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია კონფერენციის ჩატარება. (3)

ჩატი მიმდინარეობს საუბრის მსგავსად, მხოლოდ წერილობითი სახით. ერთი კლავიშის დაჭერით შეტყობინება შეიძლება რამოდენიმე წამის განმავლობაში დაეგზავნოს ონლაინში ჩართულ მონაწილეებს, რომლებსაც ანონიმურობის წყალობით ეძლევათ საშუალება აზრი გამოხატონ თავისუფლად, ყოველგვარი მორიდების გარეშე და იყვნენ პირდაპირნი. ზეპირი მეტყველებისაგან განსხვავებით ჩატში არ ხდება აზრის წყვეტა. აქ კომუნიკაცია არის სპონტანური, მოკლე და საჭიროებს უფრო სწრაფ პასუხს ვიდრე იმეილი და მოკლე ტექსტური შეტყობინება. ჩატების თემატიკა შეიძლება განსხვავებული იყოს: ჰობი, ეროტიკა, ფლირტი და ა.შ. (3)

ჩატთან დაკავშირებით არსებობს ენათმეცნიერთა აზრთა სხვადასხვაობა. ლინგვისტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ჩატის მეშვეობით კომუნიკაციური შესაძლებლობები იზრდება და ის გერმანულ ენაზე არანაირ ნეგატიურ ზეგავლენას არ ახდენს. გერმანულ ენათმეცნიერთა კავშირმა დაადგინა, რომ ჩატის ენა გერმანულს არა თუ აკნინებს, არამედ ამდიდრებს კიდევ და არავითარ შემთხვევაში არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც გერმანული ენის უკუსვლის პროცესი. ანგელიკა შტორერის

მოსაზრებით, „Chat-Schreiber stehen unter Zeitdruck und müssen möglichst ökonomisch tippen, denn Schnelligkeit wird oft als schön empfunden“. (5) ჩატში დაშვებულ ორთოგრაფიულ თუ გრამატიკულ შეცდომებს შტორერი ხსნის არა ენის უცოდინრობით, არამედ დროის უქონლობით. ენათმეცნიერთა მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ ჩატი შეცვლის გერმანულ ენას და დაანაგვიანებს მას. ჩატი, მათი მოსაზრებით ყველაზე მეტად ახალგაზრდა თაობას უქმნის საფრთხეს, რასაც ისინი ასაბუთებენ იმ ფაქტით, რომ ახალგაზრდები ჩატის გავლენით გადაეჩვივნენ ორთოგრაფიული წესების დაცვით წერას, რადგან ამგვარ წესებს ისინი კარგად დაუფლებულები არ არიან. აღნიშულთან დაკავშირებით პროფესორმა დიურშიიდმა ჩაატარა გამოკვლევა, თუ რამდენად მოქმედებდა ჩატის ენა ახალგაზრდებზე სკოლაში წერის დროს და დაადგინა, რომ მოსწავლეთა უმეტესობამ თხულება ყოველგვარი წესების დაცვით დაწერა, რაც იმას ადასტურებს, რომ მოსწავლეებს ძალიან კარგად შეუძლიათ განასხვავონ თხულება და ჩატის ენა ერთმანეთისაგან. ენათმეცნიერ შლობინსკის მოსაზრებით „Es macht keinen Sinn so zu schreiben wie Thomas Mann, wenn ich einen Text auf Twitter mit 140 Zeichen verfasse.“(4)

ჩატი ყველაზე საუბვლიანად გამოკვლეული საკომუნიკაციო ფორმაა. შმიტცის კვლევის თანახმად მისთვის დამახასიათებელია:

1. სწრაფი ტემპი
2. ანონიმურობა
3. თემების მრავალფეროვნება და მათი ქაოსური სტრუქტურა

4. მისალმებისა და დამშვიდობების ინსცენირება
5. კრეატიულობა და ინტერტექსტუალური თამაშები
6. წერილობითი საკომპენსაციო საშუალებები
7. არაოფიციალური სასაუბრო სტილი და დიალექტი
8. ონომატოპოეტური ლექსიკა (3)

ჩატში სიტყვები ხშირად ისე იწერება, როგორც წარმოითქმის: მაგ aba ნაცვლად aber. Tach ნაცვლად Tag, nix ნაცვლად nichts. სიტყვების იკვეცება funzen ნაცვლად funktionieren. We ნაცვლად Wochenende, is ნაცვლად ist მსგავსი შემოკლებები წერის ტემპს საკმაოდ აჩქარებს.

ჩატში ხშირად ვხვდებით დაუსრულებელ წინადადებებს. გრამატიკული და მართლწერის წესები უგულვებელყოფილია, ყველა სიტყვა პატარა ასოებით იწერება. თუკი სიტყვა მთლიანად დიდი ასოებით იწერება, შეიძლება მან გამოხატოს მაგ. ყვირილი, ხოლო ასოების მრავალჯერ გამეორება უფრო ინტენსიურს ხდის სიტყვის მნიშვნელობას. ხშირად გამოიყენება სასაუბრო ნაწილაკები: ähm, oh; გრძნობების გამომხატველი სიტყვები: haha, seufz, bäm, nom nom. აღნიშნული ლექსიკის გამოყენებასთან დაკავშირებით ენთიმეცნიერი შლობინსკი აღნიშნავს: „wo Gesichtsausdruck und Stimmlage fehlten, müssten Worte Gefühle vermitteln.“(4)

ჩატისატვის დამახასიათებელი ელიფსური წიდადადებები. წინდებულები და ნაცვალსახელები

შეიძლება გამოიტოვოს ან მოხდეს ასიმილაცია. მაგ: mitn ნაცვლად mit den.

ჩატის ენაში გვხვდება აბრევიატურა (Akronyme), რომელიც წარმოადგენს სიტყვის პირობით შემოკლებას. შესაძლებელია, სიტყვათა შემოკლება, სადაც ან მხოლოდ პირველი ასო ან მარცვალი გამოიყენება. ქვემოთ წარმოვადგენ ჩატში ყველაზე გავრცელებულ შემოკლებათა მაგალითებს:

შემოკლება	მნიშვნელობა
hdgdl	hab dich ganz doll lieb
ka	Keine Ahnung
lg	Lieben Gruß
hdl	hab dich lieb
kp	Kein plan
vd	Vermisss dich
bm	Bis morgen

ბევრი აბრევიატურა ინგლისური ენიდან მომდინარეობს: (1)

შემოკლება	ინგლისური განმარტება	მნიშვნელობა
afk	away from keyboard	Nicht an der Tastatur
bb	bye bye	Tschüss
lol	Laughing Out Loud	lautes Lachen
mom	moment	Einen Augenblick bitte
sry	sorry	Entschuldigung

ზოგჯერ სიტყვის შემოკლებისთვის გამოყენებულია ციფრები და ასოები, რომელთა კომბინაციითაც სიტყვის მნიშვნელობა გამოდის. მაგ: gn8, რაც ნიშნავს Ich wünsche dir gute Nacht. შემოკლებების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია LuauKi? was A vd, რაც შემდეგნაირად იშიფრება „Lust auf Kino? warte auf schnelle Antwort, vermisse dich.“ (4) ასეთი მაგალითი შეიძლება საკმაოდ ბევრი დაიძებნოს და მათი გაშიფრისთვის ინტერნეტში მოძიება დაგვჭირდეს, თუ რას აღნიშნავს ეს შემოკლება.

ხშირია შემასმენლის არაუღლებადი ფორმების გამოყენება, (inflektive Verben) რომელიც ჩატში ორ ფიფქს შორის თავსდება. მაგ \* liebevollknuddel\*, რაც შემდეგნაირად განიმარტება Ich knuddel dich liebevoll. (4)

ზოგჯერ შეიძლება ასოები ჩანაცვლდეს მსგავსი ციფრებით (Leetspeak). ყველაზე ხშირად 1 გამოიყენება ჰატარა l -ის ნაცვლად. 3 შემობრუნებულ მდგომარეობაში E მსგავსია. 7 დეფორმირებულ T გვაგონებს, ხოლო 0 ხშირად O ასოს ანაცვლებს. 4 ნაცვლად ვხვდებით A ასოს და ა.შ. ასეთი მაგალითების გაშიფვრა რთულია და საიდუმლო კოდად აღიქმება. ჩატში მათი მეშვეობით შექმნილია ზედმეტსახელები. (1)

ჩატში ემოციის გამოსახატავად გამოიყენება ემოტიკონი (სმაილიკი, სიცილაკი ან ხატულა), რომელიც შედგება სასვენი ნიშნების, ასოებისა და ციფრებისაგან. (2) მაგ.

ემოტიკონი	კოდი	მნიშვნელობა
-----------	------	-------------

😊	:-)	გალიმებული
😞	:-(	მოწყენილი
😏	;-)	თვალის ჩაკვრა
😬	:-O	გაოცებული
😏	:-D	სიცილი
😬	:’-(	ტირილი

### III. დასკვნა

ჩატი წერილობით საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს, რომლისთვისაც დამახასიათებელია აზრის კომპრესირებული სახით გამოხატვის საშუალებები. სიტყვების წერა მაქსიმალურად უახლოვდება წარმოთქმას. ყურადღება არ ექცევა მართლწერისა და გრამატიკის წესებს. გამოიყენება ელიფსური წინადადებები, სასაუბრო ნაწილაკები, აბრევიატურები, ზმნის არაუღლებადი ფორმები და ემოტიკონები, რომლებიც გრძნობებს ყველაზე კარგად გადმოსცემენ. ჩატის მეშვეობით კომუნიკაციური შესაძლებლობები იზრდება და ის გერმანულ ენას არა თუ აკნინებს, არამედ ამდიდრებს კიდევ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Runkehl, Jens/Schlobinski Peter, Siever Torsten: Sprache und Kommunikation im Internet- <http://www.mediensprache.net/archiv/pubs/3-531-13267-9.pdf> (ჩამოტვირთულია 30.05.2017)
2. Siever Torsten: Vom MfG bis cu l8er. In Sprachdienst. Heft 5-6. 2005 S.137-147.
3. Schmitz, Ulrich: Einführung in die Medienlinguistik: Darmstadt: WGB 2015; S.86-90.
4. Schlobinski, Peter: \*.knuddel – zurueckknuddel – dich ganzdollknuddel\*. Inflektive und Inflektivkonstruktionen im Deutschen. In: Zeitschrift für germanistische Linguistik Nr. 29.2. 2001, S.192-218.

5. Storrer, Angelika: Sprachliche Besonderheiten getippter Gespräche: Sprechwechsel und sprachliches Zeigen in der Chat Kommunikation. In Chat-Kommunikation. Sprache, Interaktion, Sozialität und Identität in synchronen

computervermittelter Kommunikation 2001, S.3-24.